ხელშეკრულება N128სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
CPV - 79540000

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1 ტელეფონი: 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა, ანგ.# GE24NB0330100200165022, სკ-211358957), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მცირე ბიზნეს სტატუსის მქონე **ინდ. მეწარმე სალომე ჯაფიაშვილი**, (მის: ქ. თბილისი, ვ.დოლიძის ქ., კორპ. 29, ბინა 70, ტელ: 598 258 959); სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი - TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE90TB7433236010100044; საიდენტიფიკაციო ნომერი: 01026015684) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 `შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი
ონლაინ საერთაშორისო კონფერენციის "არქივთმცოდნეობა-წყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები" ფარგლებში
სათარჯიმნო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა
CPV - 79540000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **2'560.00 (ორი ათას ხუთას სამოცი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს, წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, კერძოდ, 2020 წლის 24-25 სექტემბერს, ონლაინ საერთაშორისო კონფერენციის "არქივთმცოდნეობა-წყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები" ფარგლებში, ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული სინქრონული თარგმანის მომსახურების გაწევა ორი დღე, 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, 16 საათი. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებს და მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც გაწეული მომსახურების მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსი, ქეთევან ასათიანი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება გაწეული წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო -2020 წლის საკუთარი შემოსავლები.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შემსყიდველის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ან/და 6.3 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორემხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:**ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1 **ტელეფონი:** 238-14-25 **საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი** TRESGE22 **სახელმწიფო ხაზინა** **ანგ.#** GE24NB0330100200165022 **სკ -** 211358957	**ინდ. მეწარმე სალომე ჯაფიაშვილი (მცირე ბიზნეს სტატუსის მქონე)** მისამართი: ქ. თბილისი, ვ.დოლიძის ქ., კორპ. 29, ბინა 70; **ტელეფონი:** 598 258 959 **საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი”** **ბანკის კოდი: TBCBGE22** ანგ. NGE90TB7433236010100044 სნ- 01026015684 Digitally signed by Salome Japiashvili Date: 2020.07.29 14:54:58 +04'00'